## ჩემპიონატი

**ცდკა - "დინამო" (თბილისი) - 3:0 (0:0)**
10 ოქტომბერი. მოსკოვი. სტადიონი "დინამო". 15 000 მაყურებელი. მსაჯი ი. გორელკინი (ლენინგრადი).
გოლები: 1-0 მ. ორეხოვი (73), 2-0 აბრამოვი (74), 3-0 მ. ორეხოვი (87).

ცდკა: ვენევცევი, ლიასკოვსკი, ბაზოვოი, ზენკინი, მალინინი, კალინინი, პროტასოვი, შჩერბატენკო, აბრამოვი, მ. ორეხოვი, შლიჩკოვი.

"დინამო" (თბილისი): დოროხოვი, შავგულიძე, ნიკოლაიშვილი, ჯორბენაძე, ფროლოვი, გაგუა, ჯეჯელავა, ბერძენიშვილი , პაიჭაძე, ბერეჟნოი, სომოვი.

დაამატა **ერლან მანაშევმა**
http://football.mojgorod.ru/cgi-bin/rus/result.cgi?f=v1938&cl=8

## თბილისის "დინამოს" დამარცხება

**(მოსკოვი, ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან)**

10 ოქტომბერს მოსკოვის "დინამოს" სტადიონზე ჩაარდა მორიგი კალენდარული შეჯიბრება ფეხბურთში სსრკ პირველობაზე. თამაშობდნენ **მოსკოვის "ცდკა"-ს და თბილისის "დინამოს" გუნდები.**

პირველი ტაიმი ჩატარდა თბილისის "დინამოს" აშკარა უპირატესობით, მაგრამ დინამოელებმა ისე, როგორც წინა მატჩებში ამჯერადაც ვერ გამოიყენეს ბურთის გატანის ეს უდაო შესაძლებლობები და თამაშის პირველი ნახევარი დაამთავრეს ფრედ – 0:0.

მეორე ტაიმში ბრძოლამ მწვავე ხასიათი მიიღო. ორივე გუნდი თავგამოდებით იბრძოდა ანგარიშის გახსნისათვის. 26 წუთიან ბრძოლას შედეგი არ მოუცია. მე-27 წუთზე დოროხოვმა ვერ შესძლო სუსტად დარტყმული ბურთის აღება და თბილისის კარის ბადეში გაეხვია პირველი ბურთი. საპასუხო ბურთისათვის დინამოელები მოდუნებით იბრძოდენ, ორი წუთის განმავლობაში მათ დამატებით 2 ბურთი მიიღეს თავიანთ კარში. მატჩი დამთავრდა თბილისის "დინამოს" დამარცხებით – 0:3.

**"მუშა", 11 ოქტომბერი, 1938 წ.**